



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია

სსიპ სტუ-ს აკადემიური საბჭოს

2019 წლის 22 იანვრის

№01-05-04/08 დადგენილებით

მოდიფიცირებულია

სსიპ სტუ-ს აკადემიური საბჭოს

2019 წლის 16 მაისის

№01-05-04/102 დადგენილებით

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მეფუტკრეობა

მისამართი: სამტრედია, დიდი ჯიხაიში, ნ. ნიკოლაძის ქ. N 126

პროგრამის ხელმძღვანელი: ჯემალ კახაძე

ტელეფონი: 599939100

ელ-ფოსტა: college.didijikhaishi@gmail.com; j.kakhadze@gmail.com

ვებ გვერდი: www.ast.gtu.ge

თბილისი

2019 წელი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - მეფუტკრეობა / Beekeeping

2. სარეგისტრაციო ნომერი 09114-3

3. მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენებზე

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში / Basic Vocational Qualification in Beekeeping

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორთან (ISCED) შესაბამისობაშია 081 სოფლის მეურნეობა - მემცენარეობა და მეცხოველეობა, აღმწერი - „შეისწავლის მცენარეული კულტურების მოყვანას და მოვლას, ასევე ცხოველების მოშენებას, კვებასა და მოვლას. ის მოიცავს აგრარული მეურნეობის მენეჯმენტსა და ფუნქციონირებას და ასევე გადაუმუშავებელი მცენარეული და ცხოველური პროდუქციის წარმოებას“.

4. მიზანი

პროგრამის მიზანია მეფუტკრეობის დარგისთვის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა

5. დაშვების წინაპირობები

საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისაღებად - საბაზო განათლება

6. დასაქმების შესაძლებლობები

კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს მეფუტკრეობის მიმართულების ორგანიზაციებში, აგრეთვე შესაძლებელია იყოს თვითდასაქმებული და მართავდეს საკუთარ მეურნეობას.

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორში (ISCO) იდენტიფიცირებული დასაქმების პოზიციები

ძირითადი ჯგუფი 6 სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს კვალიფიციური მუშაკები
ქვეჯგუფი 61; მცირე ჯგუფი 611; მცირე ჯგუფი 612; მცირე ჯგუფი 613; მცირე ჯგუფი 631

- მეფუტკრეები და მეაბრეშუმეები

საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი ეკონომიკური საქმიანობის სახეები (2016 წ.)

სექცია – A სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა, აღმწერი - „*მცენარეული და ცხოველური ბუნებრივი რესურსების გამოყენება, რაც შეიცავს კულტურების მოყვანას, ცხოველების მოვლასა და მოშენებას, მერქნის მიღებასა და სხვადასხვა მცენარეების მოყვანას, ცხოველების და თევზის მოშენებას და ცხოველური წარმოების პროდუქტების მიღებას სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში და ბუნებრივ გარემოში*“.

7. სტრუქტურა და მოდულები - პროგრამა ითვალისწინებს საბაზო პროფესიულ კვალიფიკაციას. დოკუმენტში განსაზღვრულია ზოგადი და პროფესიული, მოდულები.

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია - მეფუტკრეობა მოიცავს 60 კრედიტს, რომელთაგან 18 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, ხოლო 42 კრედიტი პროფესიული მოდულები. სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობაა 1 წელი.

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამა მოიცავს 75 კრედიტს, სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობაა 15 თვე.

მოდულის: „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული

ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

მოდულთა ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

ქართულის მოდული		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ქართული ენა A2	15
ჯამი:		15

№	ზოგადი მოდულები საბაზო პროფესიული კვალიფიკაციისათვის	კრედიტი
1.	გაცნობითი პრაქტიკა - სოფლის მეურნეობა	2
2.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
3.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
4.	უცხო ენა	5
5.	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
6.	სურსათის უვნებლობა	2
7.	სამოქალაქო განათლება	2
ჯამი		18

№	პროფესიული/დარგობრივი მოდულები საბაზო პროფესიული კვალიფიკაციისათვის	კრედიტი
1	მემცენარეობის ბიოლოგიური საფუძველები	2
2	მეფუტკრეობის საფუძვლები	4
3	შრომისა და უსაფრთხოების დაცვის საფუძვლები მეფუტკრეობაში	2
4	ფუტკრის დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკა	4
5	ფუტკრის მოვლა - შენახვა შემოდგომა-ზამთრის პერიოდში	4
6	ფუტკრის მოვლა - შენახვა გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში	4
7	ფუტკრის საკვები ბაზის გამოყენება	4
8	თაფლის მიღება -რეალიზაცია	6
9	ფუტკრის პროდუქტების მიღება	6
10	ხაზვა	2
11	სადურგლო საქმე სოფლის მეურნეობაში	4
საერთო ჯამი:		42

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

საბაზო კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. სეზონურად მოუაროს და შეინახოს ფუტკარი;
2. მართოს ფუტკრის მავნებელი დაავადებები;
3. დაამზადოს ფუტკრის სკა;
4. მიიღოს ფუტკრის პროდუქტები - დინდგელი, ცვილი, ყვავილის მტვერი, რძე, შხამი;
5. უზრუნველყოს ფუტკრის პროდუქტების მიღება- რეალიზაცია.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მიერ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა, შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

“საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში” კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტთა რაოდენობა.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

დარგის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები¹:

- საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“.

პროფესიული სტანდარტები:

¹ ჩარჩო დოკუმენტსა და მოდულებში გაწერილ სამართლებრივ აქტებში ცვლილებების ასახვის შემთხვევაში სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებულ უნდა იქნას აქტის/აქტების განახლებული ვერსია, მიუხედავად ამავ ჩარჩო დოკუმენტსა და მოდულებში არსებული ჩანაწერებისა. აგრეთვე, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისთვის ჩარჩო დოკუმენტსა და მოდულებში, გაწერილი სამართლებრივი აქტების გარდა, შესაძლებელია, დამატებით გამოყენებულ იქნას სხვა აქტები, მათ შორის - საერთაშორისო შეთანხმებები და რეგულაციები.

- მეცხოველე
- სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერების სპეციალისტი
- მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმის სპეციალისტი
- მეაბრეშუმე
- მეფუტკრე
- ზოოტექნიკოსის ასისტენტი
- ფერმერი
- მემცენარე
- მეხილე
- ჩაის მოვლა-მოყვანის სპეციალისტი
- მებაღე-ტექნიკოსი
- სანერგე მეურნეობის სპეციალისტი
- მწვანე ნარგავების მოვლის სპეციალისტი
- მცენარეთა დაცვის ტექნიკოსი
- ფიტოსანიტარული კონტროლის ტექნიკოსი
- მელიორატორი
- აგრარული ტექნიკის მექანიკოსი

კლასიფიკატორები:

- საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი - ეკონომიკური საქმიანობის სახეები (2016 წ.)
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO)
- განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCED)

დოკუმენტი შემუშავებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი პროექტის "საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია/შემუშავება" ფარგლებში.

დანართი №1 - სარეკომენდაციო სასწავლო გარემო და მინიმალური მატერიალური რესურსი

პროგრამის ხელმძღვანელი

ჯემალ კახაძე

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების
ინჟინერინგის ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ნინო ლომიძე

ფაკულტეტის დეკანი

გიორგი ქვარცხავა

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

დამტკიცებულია

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
21.01.2019 წ.

მოდირიგირებულია

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
03.05.2019 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი ქვარცხავა